

სოციალური პოლიტიკის, მისი აქტორების და
სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ
საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის და
დამოკიდებულებების შესწავლა

ანგარიში მომზადებულია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის
მიერ

კვლევის კოორდინატორები

*ია ვაბუნიას – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ვაჟა სალამაძე – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ანა ჯიბუტი – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი*

კვლევის ხელმძღვანელი:

ხათუნა ნაჭყებია – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

კვლევა განხორციელებულია EED-ის ფინანსური მხარდაჭერით

2007

შინაარსი

თავი 1 კვლევის აღწერა და მეთოდოლოგია.....	3
თავი 2. დემოგრაფიული სურათი და შემოსავლები.....	5
თავი 3. დამოკიდებულება სოციალური პოლიტიკის მიმართ.....	9
თავი 4. დამოკიდებულება სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ.....	23
თავი 5. საზოგადოება, ინსტიტუციები და დეინსტიტუციონალიზაცია.....	33
თავი 6. ძირითადი დასკვნები და ზოგიერთი რეკომენდაცია.....	44

თავი 1 კვლევის აღწერა და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ჩატარდა 2007 წლის ივლისში და მის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის, მისი აქტორების და სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ.

სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ანკეტირების მეთოდით. კერძოდ, სტრუქტურულიზებული ანკეტის საშუალებით, რომელიც მოიცავდა 73 კითხვას. მეთოდიკის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების განვითარების დონის შესწავლის კვლევა-ანგარიში, რომელიც 2007 წელს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ EED-ის ფინანსური მხარდაჭერით¹ ჩატარდა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ანკეტა მოიცავდა შეკითხვებს როგორც საკუთრივ რესპონდენტის, ასევე მათი ოჯახის წევრების შესახებ. ეს ეხებოდა კითხვარის იმ ნაწილს, სადაც დასმული იყო შეკითხვები სოციალური დახმარების და სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების შესახებ.

კვლევა ჩატარდა საქართველოს 10 ქალაქში. სამიზნე ქალაქები დაყოფილი იქნა 5 გამოსაკითხ ზონად და დასახლების სიმჭიდროვის მიხედვით შერჩეული იქნა ბიჯის ზომა.


ცხრილი 1. რესპონდენტთა რაოდენობის განაწილება ქალაქების მიხედვით

ქალაქი	შერჩევის მოცულობა
თბილისი	413
რუსთავი	163
თელავი	164
ახალციხე	84
გორი	122
ქუთაისი	204
ოზურგეთი	46
ზუგდიდი	118
ფოთი	67
ბათუმი	123
სულ:	1504

დიაგრამაზე №1 მოცემულია გამოკითხული რესპონდენტების პროცენტული განაწილება სამიზნე ქალაქების მიხედვით.

დიაგრამა 1. გამოკითხულ რესპონდენტთა განაწილება ქალაქების მიხედვით

¹ www.civilin.org/welfare




მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS-15.0, ჯგუფთა შორის სხვაობის დასადგენად გამოყენებული იქნა ჯგუფთა შედარების სტიუდენტის T-კრიტერიუმი.

თავი 2. დემოგრაფიული სურათი და შემოსავლები


კვლევაში მონაწილეობდა 1504 რესპონდენტი - 882 (58,9%) ქალი და 622 (41,1%) მამაკაცი. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რესპონდენტები დაიყო ხუთ ჯგუფად. I ჯგუფი - 18-25 წლამდე 410 რესპონდენტი, II ჯგუფი - 26-35 წლამდე 353 რესპონდენტი, III ჯგუფი - 36-45 წლამდე 297 რესპონდენტი, IV ჯგუფი - 45-55 წლამდე 258 რესპონდენტი, V ჯგუფი - 56-დან ზევით წლამდე 182 რესპონდენტი.

რესპონდენტთა პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე №(2), №(3),

დიაგრამა 2 რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით




დიაგრამა 3. რესპონდენტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




დასაქმებული რესპონდენტების უმეტესობა კერძო (25.3%) და სახელმწიფო სექტორში (15.6%) მუშაობს. მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარია (18.9%). გამოკითხულ ქალთა გარკვეული ნაწილი დიასახლისია (11.8%). გამოკითხულთა ყველაზე მცირე ნაწილი დასაქმებულია საერთაშორისო ორგანიზაციებში (0.4%) და საზოგადოებრივ სექტორში (3.7%). ამ ჯგუფებში განაწილება მოცემულია დიაგრამაზე № (4)

დიაგრამა 4. გამოკითხულ რესპონდენტთა განაწილება დასაქმების ჯგუფებში



გამოკითხული რესპონდენტების 0.9%-ს განათლება არა აქვს მიღებული. დაწყებითი განათლება აქვს 0.9%-ს, საშუალო განათლება 18.2%-ს, არასრული უმაღლესი განათლება 21.4%-ს, უმაღლესი განათლება 56.9%-ს, ხოლო სამეცნიერო ხარისხი აქვს გამოკითხული რესპონდენტების 1%-ს.

დიაგრამა 5. რესპონდენტთა განაწილება განათლების მიხედვით



ცხრილში № (2) მოცემულია დასაქმებულ რესპონდენტთა პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება დასაქმების სფეროების მიხედვით.

ცხრილი 2. რესპონდენტთა განაწილება დასაქმების სფეროს მიხედვით

საქმიანობის სფერო	%
სოფლის მეურნეობა	1.4%
სახელმწიფო მართვა	5.0%
მშენებლობა	5.0%
ტრანსპორტი	4.2%
მრეწველობა	3.3%
ვაჭრობა	17.4%
საშუამავლო საქმე	0.7%
მომსახურება (სასტუმრო, რესტორენი, საყოფაცხოვრებო მომსახურება)	12.8%
კავშირგაბმულობა	2.6%
განათლება	16.3%
ჯანდაცვა	8.6%
სოციალური უზრუნველყოფა	1.9%
კომუნალური/პერსონალური მომსახურება	3.2%
შინამეურნეობა	1.2%
უძრავი ქონება	0.7%
საკონსულტაციო მომსახურება	3.5%

თავდაცვა/საზ.წესრიგის დაცვა	5.8%
არაიდენტიფიცირებული	4.0%
არასამთავრობო ორგანიზაცია	2.3%
სულ:	100%

გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა (66.5%) მიიჩვეს, რომ მათ საშუალო შემოსავლები აქვთ. რესპონდენტთა 54.9%-ი ელის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დაახლოებით მესამედი (31.6%) კი ფიქრობს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა უცვლელი დარჩება. გამოკითხულ რესპონდენტთა 4.3%-ის აზრით მისი ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ხოლო 16.1%-ი თვლის, რომ მძიმეა². გამოკითხულთა 8.3% თვლის რომ მისი შემოსავლები საშუალოზე მაღალია, ხოლო 0.6% თვლის რომ მაღალია. საშუალო შემოსავლების მქონე რესპონდენტებმა საკუთარი შემოსავლები ასე დაახასიათეს: ჩვენ გვაქვს საკმარისი ფული საკვები პროდუქტებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის შეძენა პრობლემურია (32.3%), ჩვენ გვყოფნის ფული საკვებზე და ტანსაცმელზე, შეგვიძლია მცირედენი დანახოების გაკეთებაც, თუმცა არა იმდენი, რომ შევძლოთ ძვირადღირებული ნივთების ყიდვა, როგორცაა ტელევიზორი ან მაცივარი (44.7%). ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ ზოგიერთი ძვირადღირებული ნივთი, მაგალითად ტელევიზორი ან მაცივარი (16.1%), ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ რაც გვსურს (0.7%), კითხვას არ უპასუხა გამოკითხული რესპონდენტების 6.4%-მა. ცხრილში მოცემული ყველა ეკონომიკური ჯგუფის პასუხი.

ცხრილი 3. რესპონდენტთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა

	უკიდურესად მძიმე	მძიმე	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ჩვენ არ გვყოფნის ფული საკვებზეც კი	82.5	39.2	--	--	--
ჩვენ გვაქვს საკმარისი ფული საკვები პროდუქტებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის შეძენა პრობლემურია	12.7	49.2	32.3	5.6	---
ჩვენ გვყოფნის ფული საკვებზე და ტანსაცმელზე, შეგვიძლია მცირედენი დანახოების გაკეთებაც, თუმცა არა იმდენი, რომ შევძლოთ ძვირადღირებული ნივთების ყიდვა, როგორცაა ტელევიზორი ან მაცივარი	--	7.5	44.7	20.2	
ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ ზოგიერთი ძვირადღირებული ნივთი, მაგალითად ტელევიზორი ან მაცივარი	--	---	16.1	58.9	22.2
ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ რაც გვსურს	---	---	0.7	9.7	55.6
უარი პასუხზე	4.8	4.4	6.4	6.6	22.2

² კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზისას დათვლილი იქნა განსხვავებები კვლევის ყველა ამოცანის მიხედვით (დამოკიდებულებები, ინფორმირებულობა და ა.შ) ეკონომიკური მდგომარეობის ჯგუფებს, შორის - განსხვავებები არ დადასტურდა.

თავი 3. დამოკიდებულება სოციალური პოლიტიკის მიმართ

სოციალური პოლიტიკის აქტუალურობას გარკვეულწილად განსაზღვრავს ის თუ რამდენად მასშტაბურად ხედავს მოსახლეობა პრობლემას, ანუ რამდენად მოცულობითია მისთვის ესა თუ ის საკითხი. კვლევითი ჯგუფის მიერ ასეთ ინდიკატორად მიჩნეული იქნა საზოგადოების აზრი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ. კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, რესპონდენტთა მიერ დასახელებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა რაც უფრო დიდია, მით უფრო აქტუალურია პრობლემა³. როგორც კვლევამ დაადასტურა, ქვეყნის სოციალური პრობლემატიკა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია, გამოკითხული რესპონდენტების 26.8%-ი თვლის, რომ საქართველოში მილიონამდე ადამიანია, რომელიც განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას საჭიროებს, 16.2%-ი თვლის, რომ ასეთი ადამიანების რაოდენობა მილიონს აჭარბებს, ხოლო 48.1%-ი თვლის, რომ მათი რიცხვი რამოდენიმე ათასია. გამოკითხულ რესპონდენტთა 26.5%-ი დასკვნას სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებს, 34.2%-ს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონის შედეგად გამოაქვს დასკვნა, ხოლო 39.3%-ი ინტუიციურად აფასებს სიტუაციას.

აღსანიშნავია, რომ მედია საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოკითხულთა უფრო ნაკლები რაოდენობა აკეთებს დასკვნას, რომ ქვეყანაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობა მილიონამდე ან უფრო მეტია, ვიდრე ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის ანალიზისა და ინტუიციასზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მედია ნაკლებად აქტიურია სოციალური თემატიკის გაშუქებისას. გამოკითხულ რესპონდენტთა 11.6%-ი მედია საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თვლის, რომ საქართველოში რამოდენიმე ასეული სოციალურად დაუცველია.

ცხრილში №4 მოცემულია პასუხების განაწილება რესპონდენტთა მიერ სოციალურად დაუცველთა რიცხოვნების შესახებ დასკვნის საფუძვლის სხვადასხვა წყაროს მითითებით.

ცხრილი 4.


თქვენი აზრით საქართველოში რამდენი ადამიანია, რომელიც განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას	საიდან შეგექმნათ აზრი სოციალურად დაუცველთა რიცხოვნობის შესახებ
--	--

³ განსაკუთრებული სოციალური მომსახურების ბენეფიციართა ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის.

საჭიროებს	მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან	ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონის შედეგად გამომავალ დასკვნას	ჩემს გარშემო გხვდავ და ინტუიციურად ვაფასებ სიტუაციას
რამოდენიმე ათეული	2.5%	1.0%	.9%
რამოდენიმე ასეული	11.6%	3.9%	7.6%
რამოდენიმე ათასეული	57.5 %	44.6%	45.3%
მილიონამდე	19.7%	31.6%	27.0%
მილიონზე მეტი	8.6%	18.9%	19.3%


კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა დაგვედგინა თუ რომელი სოციალური ჯგუფის ინტერესების დაცვაა ყველაზე აქტუალური საქართველოს მოსახლეობისთვის. ამ მიზნით რესპონდენტებს მივმართეთ კითხვით – თუ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც მთავრობის და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. გამოკითხული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48.9%) ასეთ სოციალურ ჯგუფად უსახლკარო და მიუსაფარ ბავშვებს ასახელებს. პასუხების განაწილება იხ. **დიაგრამაზე №6**

დიაგრამა 6. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე - თუ ვის თვლიან რესპონდენტები განსაკუთრებული სოციალური ზრუნვის ჯგუფებად



მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ ცალკეული სოციალური ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ქვეყნაში არსებული სოციალური დაცვის სისტემა არ არის ეფექტური. გამოკითხული მოსახლეობის 82.1%-მა ქვეყნის სოციალური პოლიტიკა უარყოფითად შეაფასა.

დიაგრამა 7. სოციალური დაცვის არსებული სისტემის ეფექტურობის შეფასება




აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სოციალური პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებები განსხვავდება როგორც ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე დასაქმების ჯგუფებშიც. კერძოდ, ქვეყნის სოციალური დაცვის არსებული სისტემა 18-35 წლამდე ასაკის რესპონდენტებმა უფრო დადებითად შეაფასეს, ვიდრე 36-დან ზევით. 18-35 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მეხუთედზე მეტი თვლის, რომ საქართველოში სოციალური დაცვის არსებული სისტემა ეფექტურია, მაშინ როცა 36-დან ზევით ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 12%-ი აფიქსირებს ამავე აზრს.⁴ ასაკობრივ ჯგუფებში არსებული განსხვავება შესაძლებელია აიხსნას შემდეგი გარემოებით, რომ უფროსი ასაკის ადამიანებს მეტი შეხება აქვთ სოციალური დაცვის სისტემასთან. აღსანიშნავია, რომ სოციალური დაცვის არსებული სისტემა ყველაზე უარყოფითად საპენსიო ასაკის ადამიანებმა შეაფასეს (8.6% დადებითად, 91.4% უარყოფითად).

სახელმწიფო სექტორში დასაქმებული რესპონდენტები უფრო ლიბერალურები არიან არსებული სოციალური სისტემის მიმართ, ვიდრე კერძო ან საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები. კერძოდ, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ რესპონდენტთა 27.9% დადებითად აფასებს სოციალური დაცვის არსებულ სისტემას, მაშინ როცა სხვა სექტორში დასაქმებული რესპონდენტების 20%-ს და ნაკლებს აქვს ანალოგიური შეფასება. იხ. დიაგრამა № 8


⁴ Sig. (2-tailed)=0.02<0.05

დიაგრამა 8. დასაქმების სფეროების მიხედვით რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე – “ეფექტურია თუ არა ამჟამად არსებული სოციალური დაცვის სისტემა ცალკეული სოციალური ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად”




კითხვაზე - “სარგებლობთ თუ არა რაიმე სახის სოციალური დახმარებით” – გამოკითხული რესპონდენტების 90.3%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, თუმცა ამ რესპონდენტთა 5.6%-მა (76 რესპონდენტი) ამავდროულად უპასუხა, რომ სარგებლობს სხვადასხვა სოციალური პროგრამით. ზემოთქმულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საზოგადოების მცირე ნაწილს არა აქვს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერი სოციალური პროგრამის მომხმარებლობა ამავდროულად გულისხმობს სოციალური დახმარების მიღებას. **დიაგრამაზე №10** მოცემულია იმ რესპონდენტთა პასუხების განაწილება, ვინც თვლის რომ არ იღებს სოციალურ დახმარებას, თუმცა სარგებლობს სხვადასხვა სოციალური პროგრამით.

დიაგრამა 9. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე – „იღებენ თუ არა რაიმე სახის სოციალურ დახმარებას“.



დიაგრამა 10. პასუხების განაწილება კითხვაზე – “სარგებლობთ თუ არა რომელიმე სახელმწიფო სოციალური პროგრამით” იმ რესპონდენტებს შორის, ვინც თვლის რომ არ იღებს სახელმწიფოსგან დახმარებას.



სოციალური პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირების დონე მაღალია. გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტს (67.9%) აქვს ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური პროგრამის შესახებ.


ცხრილი 5. რესპონდენტთა ინფორმირების დონე სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური პროგრამის შესახებ

სოციალური პროგრამის სახე	მსმენია
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა	61.4%
სამედიცინო პერსონალის მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა	26.1%
პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა	38%
მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამა	20.1%
მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა	24.2%
დაავადებათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა	19.1%
სოციალურად საშიში დაავადებების პროფილაქტიკისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამა	22.9%

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	25.2%
ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	9.1%
სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა	20.3%
„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა	27.8%
„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის“ სახელმწიფო პროგრამა	9.6%


საზოგადოების ორ მესამედზე მეტი არსებულ სოციალურ პროგრამებს უარყოფითად აფასებს, მათი აზრით, დღეს ქვეყანაში მოქმედი სოციალური პროგრამები არაეფექტურია. აღსანიშნავია, რომ სოციალური პროგრამების ეფექტურობის შეფასებისას განსხვავებები არ დაფიქსირდა იმ ჯგუფებს შორის, ვინც უშუალოდ არის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრია ამა თუ იმ სოციალური პროგრამის ბენეფიციარი. **დიაგრამა № 11**

დიაგრამა 11 არსებული სოციალური პროგრამების ეფექტურობის შეფასება



იმ რესპონდენტების უმეტესობა (62.7%), რომლებიც არსებულ სოციალურ პროგრამებს უარყოფითად აფასებენ სოციალური პროგრამების არაეფექტურობის მიზეზად სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო თანხების არაეფექტურ მართვას ასახელებენ, 11.2%-ი მიიჩნევს რომ მიზეზი ადამიანური რესურსის დეფიციტია, 13.5%-ის აზრით, ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხები, რომ სოციალური პროგრამები სრულფასოვნად განხორციელდეს, 12.1%-ი კი თვლის, რომ სოციალური პროგრამების არეფექტურობის მიზეზი ქვეყნის სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობაა.

დიაგრამა 12. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე - “თქვენი აზრით რა უშლის ხელს, რომ სოციალური პროგრამები იყოს წარმატებული”



აღსანიშნავია, რომ დასაქმების სფეროების მიხედვით ამ კითხვაზე განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ძირითად მიზეზად თანხის არაეფექტურ მართვას ასახელებს, საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებული რესპონდენტების 36.1%-ი თვლის, რომ მიზეზი ქვეყანაში განუვითარებელი სადაზღვევო სისტემაა, ხოლო ამ სექტორის წარმომადგენელთა მხოლოდ 33.3%-ი მიიჩნევს, რომ მიზეზი თანხის არაეფექტური მართვაა. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელთა მეოთხედზე მეტი (27.5%) თვლის, რომ სახელმწიფოს არ აქვს საკმარისი თანხა სოციალური პროგრამების განსახორციელებლად.

გამოკითხულთა უმეტესობა (76.5%) თვლის, რომ სოციალური პროგრამები, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებული სოციალური ზრუნვის ჯგუფების დასახმარებლად სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს. 10.5%-ი თვლის, რომ ეს პროგრამები ბიზნეს ორგანიზაციებმა უნდა დააფინანსონ, 5%-ი საერთაშორისო ორგანიზაციებს აკისრებს ამ ჯგუფების სოციალური

⁵ ჯგუფთა შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა Sig. (2-tailed)<0.05


დაცვის პროგრამების დაფინანსებას, ხოლო 7.9%-ი მიიჩნევს, რომ ეს პროგრამები მთელი საზოგადოების დასაფინანსებელია.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 10.5%-ი თვლის, რომ ბიზნესმა უნდა დააფინანსოს სოციალური პროგრამები, საზოგადოება ბიზნესის შესაძლებლობას სოციალური პრობლემების მოგვარებაში ზოგადად ოპტიმისტურად უყურებს, და თვლის, რომ მას აქვს უნარი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითი გავლენა იქონიოს როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონის მასშტაბით. 40%-ი თვლის, რომ ბიზნესს ძირეულად შეუძლია შეცვალოს სოციალური მდგომარეობა საქართველოში, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილია (7.4%) პესიმისტურად განწყობილი და თვლის, რომ ბიზნესს არაფრის შეცვლა არ შეუძლია. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უფრო ვიწრო კონტექსტში, როდესაც საქმე ქვეყნის უკიდურესად გაჭირვებულ ფენას ეხება, საზოგადოების 20%-ის აზრით, ბიზნესს არ შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს და გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა. აქედან შესაძლებელია გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ საზოგადოებისთვის ძალზედ მწვავეა სიღატაკის პრობლემა და ამ ეტაპზე მას დაუძლეველად თვლის.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების კვლევის დროს ერთ-ერთ პრობლემად **გამოიკვეთა** ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების და ბიზნესის არამყარი თანამშრომლობითი ურთიერთობები,⁶ საზოგადოების 31.7%-ის აზრით, საქართველოში ქველმოქმედება განვითარებულია, სავარაუდოა, რომ ასეთი შეხედულება კერძო შემოწირულობებს უფრო ეხება, რომელიც საინფორმაციო საშუალებებით შექმდება, ვიდრე კორპორატიულ ქველმოქმედებას.


დიაგრამა 13. განვითარებულია თუ არა საქართველოში ქველმოქმედება

⁶ ორგანიზაციათა უმეტესობის აზრით საქართველოში ბიზნესსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ჯერ კიდევ არ არის მყარი თანამშრომლობითი კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის დაფინანსებაში მცირე წვლილი შეაქვს ბიზნეს ორგანიზაციებს, თანამშრომლობა უმეტეს შემთხვევაში ერთჯერად, სპონტანურ ხასიათს ატარებს და უფრო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის შედეგია, ვიდრე ბიზნესის წარმომადგენელთა ინიციატივა.



იმდენად რამდენადაც საზოგადოება განსაკუთრებული ზრუნვის ჯგუფებიდან ყველაზე მგრძობიარე ბავშვების მიმართ არის, გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ ბიზნესმაც საკუთარი ქველმოქმედება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, მზრუნველობამოკლებული და მიუსაფრი ბავშვების მიმართულებით უნდა წარმართოს. გამოკითხულთა 66%-ზე მეტის აზრით უპირატესი სწორედ ბავშვების მიმართულებით წარმართული ქველმოქმედებაა, 42.9%-ის აზრით კი, ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების მქონე ადამიანების დახმარებაა. რესპონდენტთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა 18.5%-ი თვლის, რომ ბიზნესმა ქველმოქმედება შეზღუდული შესაძლებლობის მოზრდილთა დასახმარებლად უნდა წარმართოს. **დიაგრამა №14**

დიაგრამა 14. რომელი სოციალური ჯგუფის დასაფინანსებლად უნდა მიმართოს ბიზნესმა ქველმოქმედება




კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოება სოციალური პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფაში საკუთარ ჩართულობასაც არ გამორიცხავს. მართალია, ის პასუხები, რომლებიც კვლევის დროს დაფიქსირდა მოსახლეობის დამოკიდებულებას უფრო ასახავს, ვიდრე მის სამომავლო ფინანსური ჩართულობის ხარისხს⁷, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებაში არსებობს საკუთარი გადასახადების მიზნობრივად წარმართვის გარკვეული მზაობა. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 2,2% ფიქრობს, რომ მისი პირადი გადასახადებიდან გარკვეული თანხის კონკრეტული სფეროსკენ მიმართვა მისი გადასაწყვეტი არ არის და ეს სახელმწიფოს პრეეროგატივაა.

⁷ დასაქმებულთა 17%-მა არ იცის რა სახის გადასახადს იხდის ბიუჯეტში

ისევე როგორც ბიზნესის შემთხვევაში (დიაგრამა №15), თავად რესპონდენტებიც საკუთარი გადასახადების მიმართვას უფრო მეტად ბავშვების და მზრუნველობამოკლებული მოხუცებისთვის ისურვებდნენ.


დიაგრამა 15. შესაძლებლობის შემთხვევაში რომელი სოციალური ჯგუფის დაფინანსებას ამჯობინებდნენ რესპონდენტები საკუთარი გადასახადებიდან



იმ შემთხვევაში თუ თითოეული მოქალაქის გადასაწყვეტი იქნება საკუთარი გადასახადის გარკვეული ნაწილი წარმართოს ამა თუ იმ სოციალური ზრუნვის ჯგუფის დასახმარებლად, საზოგადოება მზად არის არჩევანი მოცემული ჯგუფების სასარგებლოდ გააკეთოს.

კვლევისას რესპონდენტებს უნდა მიეთითებინათ გადასახადის დაახლოებით რა ნაწილის წარმართვაზე იქნებოდნენ თანახმა არჩეული ჯგუფისთვის. რესპონდენტთა 43.3%-ი თანახმაა გადასახადების 1.6%-2%-მდე წარმართოს არჩეული ჯგუფის სასარგებლოდ. დიაგრამა №16

დიაგრამა 16.




თავი 4. დამოკიდებულება სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა დაგვედგინა საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობის დონე სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ.

რესპონდენტთა მეოთხედზე მეტის (27.9%) აზრით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილი უყურადღებოა, არ ინტერესდება მათი პრობლემებით და სულერთია ამ ადამიანების ბედი. 10.4%-ი ფიქრობს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი უგულებელყოფს მათ პრობლემებს და დამოკიდებულება მათ მიმართ უარყოფითია. თანაბრად განაწილდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა (25.5%), ვინც თვლის, რომ 1) “საზოგადოების დიდი ნაწილი თანაუგრძნობს ასეთ ადამიანებს” და 2) “საზოგადოების დიდ ნაწილს ეცოდება ისინი”. გამოკითხულთა მხოლოდ 10.6%-ი ფიქრობს, რომ საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად თვლის. მონაცემების დათვლისას რესპონდენტები პირობითად ორ ჯგუფში განაწილდნენ. კერძოდ, რესპონდენტების ერთი ნაწილი პირადად იცნობს იმ ადამიანებს, რომლებიც სოციალურ ზრუნვას საჭიროებენ, ხოლო მეორე ჯგუფში გადანაწილდნენ ის რესპონდენტები, რომელთა ოჯახის წევრი სოციალურ ზრუნვას საჭიროებს. კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით სავარაუდო იყო რომ ის ადამიანები, ვისაც უშუალო შეხება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან, უფრო კრიტიკულად შეაფასებდნენ საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პირთა მიმართ, თუმცა ჯგუფებს შორის განსხვავება არ დადასტურდა.


დიაგრამა 17. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე -“თქვენი აზრით, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ”



- საზოგადოების დიდი ნაწილი უგულებელყოფს მათ პრობლემებს და დამოკიდებულება მათ მიმართ უარყოფითია
- საზოგადოების დიდი ნაწილი უყურადღებოა მათ მიმართ, არ ინტერესდება მათი პრობლემებით, მისთვის სულერთია ამ ადამიანების ბედი
- საზოგადოების დიდი ნაწილი თანაუგრძნობს ასეთ ადამიანებს
- საზოგადოების დიდ ნაწილს ეცოდება ეს ადამიანები
- საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და დამოკიდებულება მათ მიმართ ისეთივეა, როგორც ყველა სხვა ადამიანის მიმართ


რესპონდენტთა პასუხებში დაახლოებით მსგავსი შედეგები დაფიქსირდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან, მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვებთან მიმართებაში. **დიაგრამები №18,19.**

დიაგრამა 18. როგორია რესპონდენტთა მოსაზრებით საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ.



- საზოგადოების დიდი ნაწილი უგულებელყოფს მათ პრობლემებს და დამოკიდებულება მათ მიმართ უარყოფითია
- საზოგადოების დიდი ნაწილი უყურადღებოა მათ მიმართ, არ ინტერესდება მათი პრობლემებით, მისთვის სულერთია ამ ადამიანების ბედი
- საზოგადოების დიდი ნაწილი თანაუგრძნობს ასეთ ადამიანებს
- საზოგადოების დიდ ნაწილს ეცოდება ეს ადამიანები
- საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და დამოკიდებულება მათ მიმართ ისეთივეა, როგორც ყველა სხვა ადამიანის მიმართ

დიაგრამა 19. როგორია რესპონდენტთა მოსაზრებით საზოგადოების დამოკიდებულება მზრუნველობამოკლებული და მიუსაფარი ბავშვების მიმართ



- საზოგადოების დიდი ნაწილი უგულებელყოფს მათ პრობლემებს და დამოკიდებულება მათ მიმართ უარყოფითია
- საზოგადოების დიდი ნაწილი უყრადლბოა მათ მიმართ, არ ინტერესდება მათი პრობლემებით, მისთვის სულერთია ამ ადამიანების ბედი
- საზოგადოების დიდი ნაწილი თანაუგრძნობს ასეთ ადამიანებს
- საზოგადოების დიდ ნაწილს ეცოდება ეს ადამიანები
- საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან და დამოკიდებულება მათ მიმართ ისეთივეა, როგორც ყველა სხვა ადამიანის მიმართ


ამ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საზოგადოება მიდრეკილია სოციალური ზრუნვის (კონკრეტულად შშმპ, შშმბ და მზუნველობამოკლებული ბავშვების) ჯგუფების მიმართ მხოლოდ თანაგრძნობა და შეცოდება გამოხატოს, მხოლოდ მცირე ნაწილისთვის არიან ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ამ შედეგის დამადასტურებელია თავად რესპონდენტების დამოკიდებულება სოციალური ზრუნვის სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. კვლევისას სოციალური სიახლოვის გასაზომად გამოყენებული იქნა შკალა, სადაც რესპონდენტს უნდა მიეთითებინა რამდენად მისაღებია მისთვის სხვადასხვა სოციალურ სიახლოვეზე ესა თუ ის სოციალური ზრუნვის ჯგუფი. ცხრილში №6 მოცემულია რესპონდენტთა დამოკიდებულებები.

ცხრილი 6. სოციალური სიახლოვის შკალა

№		1. ნათესავად		2. ნათლულად		3. მეზობლად		4. მეგობრად/შვილის მეგობრად		5. თანამშრომლად/შვილის თანაკლასელად		6. ქვეყნის მაცხოვრებლად		7. ასეთები არ უნდა ცხვრობდეს ქვეყანაში	
		+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-
	მისაღები/მიუღებელი	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-
1	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები	57.9	21	63.8	16.9	68.8	13.3	59.7	20.2	60.4	25.6	85.4	6.7	6.9	86.6
2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილები	60.4	23.8	66.5	19.3	71.5	14.3	62	23.3	58.2	26.7	83.8	7.3	4.2	81.7
3	უსახლკარო და მიუსაფარი ბავშვები	54.5	32.5	62.7	23.6	61.8	23.1	56.8	29.1	54.3	30.5	79.7	11.3	8.2	79.8
4	მენტალური/ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვები	40.7	39.9	45.8	36.1	43.8	36.4	31.9	50.6	30.5	52.7	74.2	12.6	2.4	71.7
5	მენტალური/ფსიქიკური პრობლემების მქონე მოზრდილები	37.6	42.1	43.2	37.9	39.9	39.7	28.4	53.5	27	56	72.7	13.6	7.3	77.1
6	არასრულწლოვანი დამნაშავეები	17.8	67.6	25.1	61.8	13.7	65.8	12.2	63.7	11.7	63.9	54.9	30.1	17	74.4
7	ნარკომანები/ მავნე ნივთიერებების მომხმარებლები	10.7	80.3	11.7	76	79.5	10.6	6.6	86.3	6.8	86.1	43.1	43.4	28.3	62.6
8	შიდსით დაავადებულები	30.5	56.4	30.1	52.4	28	53.5	23.2	60.7	22.4	60.3	54.3	27.8	15.9	73.9

მონაცემების განზოგადების შედეგად მივიღეთ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიმართ საზოგადოების მიმდევობის ხარისხის მაჩვენებელი.
დიაგრამა №20

დიაგრამა 20. სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმდევობა საზოგადოების მიერ




როგორც დიაგრამიდან ჩანს, საზოგადოების მესამედზე ოდნავ ნაკლები ადამიანია თანახმა რომელიმე სოციალური ზრუნვის ჯგუფთან რაიმე სახის სოციალურ სიახლოვეზე იყოს. აღსანიშნავია, რომ განსხვავებები სოციალურ სიახლოვესთან დაკავშირებით ასაკისა და სქესის მიხედვით არ დაფიქსირებულა, ანუ სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანების სოციალური დამოკიდებულებები განსაკუთრებული ზრუნვის სხვადასხვა ჯგუფის მიმართ ერთნაირია.

სოციალური სფეროს ექსპერტთა აზრით განსაკუთრებული ზრუნვის ჯგუფების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ერთ-ერთი ინდიკატორი ინკლუზიური სწავლების მიმართ დამოკიდებულებაა. ამიტომ კვლევის ინტერესს შეადგენდა დაგვედგინა საზოგადოების აზრი ინკლუზიური სწავლების მიმართ. ინკლუზიური სწავლების შესახებ გამოკითხულთა 68.4%-ს არაფერი სმენია. მათ შორის ვისაც სმენია ინკლუზიური სწავლების შესახებ 51.5%-ი თანახმაა მისმა შვილმა ისწავლოს სკოლაში, სადაც ინკლუზიური


სწავლებაა. 24.6%-ი დაფიქრდებოდა სანამ შვილს ასეთ სკოლაში მიიყვანდა, 13%-ი შეეცდებოდა სხვა სკოლაში მიეყვანა შვილი, ხოლო 9.1%-ი გადაიყვანდა შვილს სკოლიდან თუ ამ სკოლაში ინკლუზიურ სწავლებას შემოიღებდნენ. **დიაგრამა № 21**

დიაგრამა 21.




ინტერვიუს დროს იმ რესპონდენტებს, ვისაც არ ჰქონდათ ინფორმაცია ინკლუზიური სწავლების შესახებ, ეძლეოდათ ინკლუზიური სწავლების განმარტება, რის შემდეგ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია ინკლუზიური სწავლების მიმართ. **დიაგრამა № 22**

დიაგრამა 22. იმ რესპონდენტთა დამოკიდებულება ინკლუზიური სწავლების მიმართ, რომლებმაც ამ ტიპის სწავლების შესახებ ინტერვიუს პროცესში მიიღეს ინფორმაცია



კვლევის ერთ-ერთ ამოცანას სახელმწიფო ინსტრუქციების შესახებ ინფორმირებულობის დონის შესწავლა წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ თავში იქნება განხილული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციების შესახებ რესპონდენტთა მიერ დაფიქსირებულმა პასუხებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა წინამდებარე თავში აღწერილი საზოგადოების დამოკიდებულება სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ. კერძოდ, გამოკითხულთა მესამედი (33.4%) თვლის, რომ სახელმწიფო სამხუნველო დაწესებულებები იზოლაციის და საზოგადოებისგან გამიჯვნის ინსტრუმენტს წარმოადგეს, რაც საზოგადოებისთვის მისაღებია და ნორმალურ მოვლენად თვლიან. გამოკითხულ რესპონდენტთა მესამედის აზრით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილები და ბავშვები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები და მოხუცები სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში უნდა ცხოვრობდნენ, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობენ, როდესაც საქმე მათ ახლობელს ეხება, კერძოდ, კითხვაზე – „რას ურჩევდით ახლობელს, რომელსაც საკუთარი შვილისთვის/ოჯახის წევრისთვის სჭირდება განსაკუთრებული მომსახურება (რეაბილიტაცია, შინ მოვლა, სადღეღამისო თავმესაფრით სარგებლობა)?“, რესპონდენტებმა რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს. **დიაგრამა №23**

დიაგრამა 23⁸. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე – “თუ რას ურჩევდნენ ახლობელს რომელსაც საკუთარი შვილისთვის სჭირდება განსაკუთრებული მომსახურება (რეაბილიტაცია, შინ მოვლა, სადღეღამისო თავშესაფრით სარგებლობა)”




რესპონდენტთა ნახევარი სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში არსებულ პირობებს უარყოფითად აფასებს, მიუხედავად ამისა მათი მესამედი მაინც თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილები და ბავშვები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები და მოხუცები სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში უნდა ცხოვრობდნენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, ამ ადამიანების მიმართ საზოგადოების ზემოთაღწერილ დამოკიდებულებებს.

რესპონდენტთა 88%-ი თვლის რომ სოციალური პროგრამები მხოლოდ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს და ეს მისი პრეეროგატივაა, პროგრამების დაფინანსებაც სახელმწიფოს მიერ უნდა ხდებოდეს, გამოკითხულთა მხოლოდ 7.9%-ი თვლის, რომ ასეთი სოციალური პროგრამების დაფინანსებაში მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული და ისინი თითოეული მოქალაქის მიერ უნდა ფინანსდებოდეს. **დიაგრამა №24**

⁸ კერძო სამზრუნველო დაწესებულებებთან დაკავშირებით სხვა კითხვებში განსხვავებული პოზიცია ფიქსირდება თავი №6

დიაგრამა 24. რესპონდენტთა პასუხების განაწილება სოციალური პროგრამების დაფინანსების წყაროების შესახებ



როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოება ყველაზე მგრძობიარე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და მზუნველობამოკლებული ბავშვების მიმართ აღმოჩნდა. გამოკითხულთა 68%-ზე მეტი საკუთარი გადასახდების ნაწილის წარმართვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა, მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა დახმარების მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებში ისურვებდა. ამავე დამოკიდებულებას ადასტურებს რესპონდენტთა მიერ ანალოგიურ კითხვაზე გაცემული პასუხები, როდესაც უნდა აერჩიათ სფერო რომელშიც, მათი აზრით, ბიზნესმა უნდა მიმართოს საკუთარი ქველმოქმედება. გამოკითხულ რესპონდენტთა 66%-ზე მეტის აზრით ბიზნესმა საკუთარი ქველმოქმედება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა, მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა დახმარების მიმართულებით უნდა წარმართოს.⁹

⁹ იხ. დიაგრამები №14 და №15.


თავი 5. საზოგადოება, ინსტიტუციები და დეინსტიტუციონალიზაცია

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისადმი საზოგადოების მზობის შესწავლა წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში ჩატარებული საექსპერტო გამოკითხვის შედეგების მიხედვით დეინსტიტუციონალიზაციის შესახებ საზოგადოების არაინფორმირებულობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს პროცესს და გამოიწვევს მის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა თუ რას ფიქრობს მოსახლეობა სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებების შესახებ, რამდენად არის მზად მიიღოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ზრუნვის ალტერნატიული მოდელი და დადგინდეს თუ რა მექანიზმებით შეიძლება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობის დონის გაზრდა. კვლევის ჰიპოტეზის მიხედვით:

1. საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია:
 - ა. სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებების ფუნქციების შესახებ;
 - ბ. სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში არსებული პირობების და სერვისების ხარისხის შესახებ;
 - გ. სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებების **ალტერნატიული** სერვისის შესახებ;
2. საზოგადოება არ არის ინფორმირებული სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესაძლებლობების და სერვისის ხარისხის შესახებ:
 - ა. არ იცნობენ ქვეყანაში მოქმედ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
 - ბ. საზოგადოება ვერ აღიქვამს სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფო სამზრუნველო სერვისის ჩამნაცვლებლად.


რესპონდენტთა 39.3%-ის აზრით სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულება არის დაწესებულება, სადაც სახელმწიფო ინახავს ოჯახიდან გარიყულ ადამიანებს, თითქმის მესამედი 30.4%–ი თვლის რომ სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულების ძირითადი ფუნქციაა იქ მცხოვრებ ადამიანთა საზოგადოებისგან იზოლაცია, 20.6%–ი თვლის რომ ეს არის დროებითი თავშესაფარი ადამიანებისთვის, რომელთაც მატერიალურად ვერ უზრუნველყოფს ოჯახი. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილია (9.7%) ინფორმირებული სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებების რეალური ფუნქციის (განსაკუთრებული ზრუნვის, სპეციალური სერვისის) შესახებ. **დიაგრამა №25**

დიაგრამა 25.




რესპონდენტთა 48.7%-ი თვლის, რომ სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში პირობები დამაკმაყოფილებელია, ნახევარი თვლის, რომ პირობები ამ დაწესებულებებში ცუდი, ან ძალიან ცუდია, (37.4% და 12.8%). მხოლოდ 1.1%-ს მიაჩნია, რომ პირობები ძალიან კარგია.

დიაგრამა 26. რესპონდენტთა პასუხების განაწილება სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში არსებული პირობების შესახებ




სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში არსებული პირობების შესახებ საზოგადოება (75.1%) ძირითადად მედიის საშუალებით არის ინფორმირებული. 16%-ი ნაცნობ-მეგობრების საშუალებით, ხოლო 8.7%-ს თავად აქვს შეხება ამ დაწესებულებებთან. იმ რესპონდენტთაგან, ვისაც უშუალო შეხება აქვთ სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებთან, ან ნაცნობ-მეგობრებისგან აქვთ ინფორმაცია იქ არსებული პირობების შესახებ, ფიქრობენ რომ პირობები ამ დაწესებულებებში ცუდი ან ძალიან ცუდია. **დიაგრამა № 27**

დიაგრამა 27. რესპონდენტთა პასუხების განაწილება სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში არსებული პირობების შესახებ



საზოგადოების აზრით, სახელმწიფო სამზუნველო დაწესებულებებში მყოფ პირებს ყველაზე მეტად ოჯახური სითბო და ინდივიდუალური ყურადღება აკლიათ. ხოლო მესამედზე მეტი თვლის, რომ მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები. **დიაგრამა № 28**


დიაგრამა 28. რესპონდენტთა პასუხების განაწილება სახელმწიფო სამზუნველო დაწესებულებებში ბენეფიციართა საჭიროებების შესახებ



შედეგები ანალოგიურია იმ შემთხვევებშიც, როდესაც რესპონდენტებს უშუალო შეხება აქვთ სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებთან. ანუ აქედან გამომდინარე, საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არა აქვს შეხება სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებთან, მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში არსებული პირობების შესახებ.

პირობების გაუმჯობესების გარდა, საზოგადოება ჯერ ვერ ხედავს სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში მცხოვრებ ბენეფიციართა სხვა პერსპექტივას. გამოკითხულთა უმეტესობის (81.8%) აზრით, სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებები უნდა დარჩეს ამ სახით, თუმცა უნდა გაუმჯობესდეს საყოფაცხოვრებო პირობები. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (16.4%) თვლის, რომ ისინი უნდა დაიხუროს, მათ შორის გამოკითხულთა 7.9%-ის აზრით, ეს დაწესებულებები უნდა გადავიდეს კერძო პირის საკუთრებაში, ხოლო 7.4%-ის აზრით, უნდა დაიხუროს და იქ მცხოვრები ადამიანები გადანაწილდნენ მიმღებ ოჯახებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სოციალურ სფეროში მოღვაწეობენ. **დიაგრამა № 29**

დიაგრამა 29. საზოგადოების აზრი სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებების პერსპექტივებზე




- უნდა დარჩეს ისეთი სახით როგორც არის
- უნდა დარჩეს სახელმწიფო დაქვემდებარებაში, მაგრამ უნდა გაუმჯობესდეს პირობები
- უნდა დაიხუროს
- უნდა გადავიდეს კერძო პირის დაქვემდებარებაში
- უნდა დაიხუროს და იქ მცხოვრები ადამიანები გადანაწილდნენ მიმღებ ოჯახებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სოციალურ სფეროში მოღვაწეობენ

ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია აქვს გამოკითხულთა 51.2%-ს. გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედს 20.1%-ს (295 რესპონდენტი) აქვს ინფორმაცია სოციალურ საკითხებზე მომუშავე

არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. გამოკითხულთა 2.6%-მა დააფიქსირა, რომ მათ სრულყოფილი ინფორმაცია აქვთ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესახებ, ხოლო 17.5%-მა აღნიშნა, რომ ზოგადად იცნობს მათ.

ის რესპონდენტები, ვისაც აქვს ინფორმაცია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესახებ, მათი საქმიანობის შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებულები არიან, მხოლოდ 5%-მა აღნიშნა, რომ არ არის ინფორმირებული მათი საქმიანობის შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობისთვის ეს ორგანიზაციები (84.5%) ჰუმანიტარულ დახმარებასთან ასოცირდება. **დიაგრამა № 30**


დიაგრამა 30. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე თუ რა სახის საქმიანობას ეწევიან ზრუნვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები.



რესპონდენტთა უმეტესობას, ვისაც სმენია ამ ორგანიზაციების შესახებ (63%) ინფორმაცია ნაცნობ-მეგობრებისგან აქვს მიღებული, ინფორმაციის წყაროს ასევე წარმოადგენს მედია საშუალებები - უპირატესად ტელევიზია, რესპონდენტთა 58%-ს ტელევიზიიდან აქვს მიღებული ინფორმაცია ამ ორგანიზაციების შესახებ. 21%-ს გაზეთიდან, 25.9%-ს ინტერნეტით, ხოლო 6.2%-ს რადიოდან.

დიაგრამაზე №31 მოცემულია თუ რა ტიპის ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ სმენიათ რესპონდენტებს - ორგანიზაციები დაყოფილია ბენეფიციართა ნიშნით.

დიაგრამა 31.



უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში (შერჩევითი ერთობლიობიდან 1504 რესპონდენტი) რესპონდენტთა ძალიან მცირე ნაწილს 4.5%-ს¹⁰ ჰქონია


¹⁰ 4.5% (68 რესპონდენტი) - ამ თავში მოცემული პროცენტული განაწილებები, რომლებიც ეხება რესპონდენტთა ამ ჯგუფის (ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან) შეხედულებებს, შესაძლებელია გადნვიხილოთ, როგორც შესაძლო ტენდენცია, რადგან რესპონდენტთა რაოდენობა არ იძლევა მადალალბათური დასკვნების გაკეთების საშუალებას.

უშუალო შეხება ზრუნვაზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

იმ რესპონდენტთაგან, ვისაც აქვს ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, ნახევარზე მეტი (59.1%) ენდობა ამ ორგანიზაციებს – 40.8%-ი უფრო ენდობა, 18.3%-ი სრულიად ენდობა, 29.3%-ი არ ენდობა, ხოლო 9.4%-ი სრულიად არ ენდობა. უშუალო შეხება ამ ორგანიზაციებთან (მათ შორის ვისაც სმენია მათ შესახებ) ჰქონია 34.3%-ს (68 რესპონდენტი). ნდობის ხარისხი ამ რესპონდენტებში არ განსხვავდება იმ რესპონდენტთა ნდობის ხარისხისგან, ვისაც უშუალო შეხება არ ჰქონია მათთან, თუმცა სმენია მათ შესახებ.


რაც შეეხება თავად ორგანიზაციის ტიპს, ვისთანაც შეხება ჰქონიათ რესპონდენტებს, მრავალფეროვანია. შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ დამოკიდებულებები ამ რესპონდენტებს მხოლოდ ერთი ტიპის ორგანიზაციებთან შეხებით არ აქვთ ჩამოყალიბებული. **დიაგრამაზე №32** მოცემულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ ტიპების ჩამონათვალი (ბენეფიციარების მიხედვით), რომელთანაც შეხება ჰქონიათ გამოკითხულ რესპონდენტებს.

დიაგრამა 32. ორგანიზაციათა ტიპები ვისთანაც შეხება ჰქონიათ რესპონდენტებს



ნაწილს ჰქონია უშუალო ურთიერთობა, შესაძლებელია მაინც გაკეთდეს ზოგადი დასკვნა, რომ მათ სერვისს დადებითად უფრო მეტი ადამიანი აფასებს, ვიდრე უარყოფითად. რესპონდენტთა პასუხების განაწილება, ვისაც მიუძღვრება ამ ორგანიზაციებისთვის მოცემულია **დიაგრამაზე № 33**

დიაგრამა 33. რესპონდენტთა მიერ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მომსახურების ხარისხის შეფასება



კვლევამ დაადასტურა ის სურათი რაც კვლევის წინა ეტაპზე ჩატარებულმა საექსპერტო ინტერვიუებმა და თავად ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების გამოკითხვამ აჩვენა. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმირებული ადამიანების ნახევარზე მეტი ენდობა ამ ორგანიზაციებს, გადასახადების მიმართვის შესაძლებლობის შემთხვევაში უმეტესობა მაინც სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებისკენ მიმართავდა საკუთარი გადასახადების გარკვეულ ნაწილს. ანალოგიური შედეგები დააფიქსირა რესპონდენტთა გენერალურმა ჯგუფმა, უმეტესობა (60.2%) საკუთარი გადასახადების გარკვეულ ნაწილს სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი - სადღეღამისო პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულების სასარგებლოდ მიმართავდა. **ცხრილი №7**

ცხრილი 7. გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე -“იმ შემთხვევაში თუ თქვენს არჩევანზე იქნება დამოკიდებული, საით წარიმართოს თქვენს მიერ კონკრეტული სოციალური ჯგუფის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადახდილი თანხები, რა ტიპის სამზრუნველო დაწესებულების დასაფინანსებლად მიმართავდით ამ თანხებს”

ორგანიზაციის ტიპი	%
სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი - სადღეღამისო პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულება (მზრუნველობამოკლებული/შშმ ბავშვებისთვის,	60.2

<p>მოზრდილებისთვის, მოხუცებისთვის) სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი - დღის პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულება (მზრუნველობამოკლებული/შშმ ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვის, მოხუცებისთვის)</p>	7.1
<p>კერძო - სადღეღამისო პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულება (მზრუნველობამოკლებული/შშმ ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვის, მოხუცებისთვის)</p>	16.7
<p>კერძო - დღის პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულება (მზრუნველობამოკლებული/შშმ ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვის, მოხუცებისთვის)</p>	1.7
<p>არასამთავრობო ორგანიზაციის - სადღეღამისო პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულება სახელმწიფო დაქვემდებარებით (მზრუნველობამოკლებული/შშმ ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვის, მოხუცებისთვის)</p>	12.9
<p>არასამთავრობო ორგანიზაციის - დღის პანსიონის ტიპის სამზრუნველო დაწესებულება (მზრუნველობამოკლებული/შშმ ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვის, მოხუცებისთვის)</p>	1.4


ცხრილში მოცემული შედეგების მიხედვით ჩანს ტენდენცია, რომ საზოგადოება უფრო მეტ მზაობას გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს სადღეღამისო სამზრუნველო დაწესებულებების დაფინანსებაში, ვიდრე დღის ცენტრების. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ:

- 1) საზოგადოების აზრით სადღეღამისო დაწესებულებების არსებობა უფრო აუცილებელია, ვიდრე დღის ცენტრის ტიპის დაწესებულებების. რაც თავის მხრივ განპირობებულია ა) განსაკუთრებული სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებით¹¹. ბ) დღის ცენტრის ფუნქციების და შესაძლებლობების შესახებ არაინფორმირებულობით.
- 2) საზოგადოება ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას არსებულ მდგომარეობას განიხილავს და ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე დახმარება სწორედ სადღეღამისო დაწესებულებებს ესაჭიროებათ.

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო გაგვევო მოსახლეობის აზრი ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების შესახებ. ვისაც აქვს ინფორმაცია გაუგია ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, გამოკითხულთა 40%-ი თვლის, რომ ეს ორგანიზაციები საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა უნდა დააფინანსონ, 25.3%-ი თვლის, რომ სახელმწიფომ.

დიაგრამა №34.
დიაგრამა 34.

¹¹ თავი №4 გვ. 32



აღსანიშნავია, რომ 7.4%-ი თვლის, რომ ეს ორგანიზაციები ბიზნესმა უნდა დააფინანსოს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთგამოთქმულ მოსაზრებებს ბიზნესის როლის გაზრდასთან დაკავშირებით ქვეყნის სოციალური პრობლემების გადასაჭრელად¹²

თავი 6. ძირითადი დასკვნები და ზოგიერთი რეკომენდაცია

კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებისთვის აქტუალურია სოციალურ სფეროში არსებული პრობლემები, თუმცა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა

¹² თავი №3

ზოგადი სოციალური ფონის გაუმჯობესებას, ვიდრე კონკრეტული ზრუნვის ჯგუფების პრობლემების მოგვარებას.

კვლევამ დაგვანახა, რომ დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის საზოგადოება მოუმზადებელია. საზოგადოებისთვის სოციალურ სფეროში სახელმწიფო ჯერჯერობით ერთადერთი მოქმედი აქტორია და პასუხისმგებლობას სოციალური პრობლემების მოგვარებაზე უმეტესად ის უნდა იღებდეს. ამ ზოგად კონტექსტს უკავშირდება ისიც, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებების დახურვა¹³.

რესპონდენტთა უმეტესობისთვის უცნობია თუ რა სერვისები არსებობს სოციალურ სფეროში და ვინ არიან ამ სერვისის მიმწოდებლები. როგორც კვლევამ დაგვანახა, საზოგადოებას უმეტესად ისეთ თემასთან ასოცირებული ორგანიზაციების შესახებ სმენია, რომლის შესახებ სახელმწიფო აწარმოებს საინფორმაციო კამპანიებს (შიდსი, ნარკომანია, დევნილთა პრობლემები). მოსახლეობამ არ იცის კონკრეტულად რა სერვისს სთავაზობენ ეს ორგანიზაციები ბენეფიციარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობისთვის ეს ორგანიზაციები ჰუმანიტარული დახმარების გამტარებლებად უფრო აღიქმებიან, ვიდრე კონკრეტული სერვისის მიმწოდებლებად¹⁴.


კვლევის შედეგების მიხედვით, ინფორმაციის ნაკლებობის გარდა, ზრუნვის ჯგუფების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების პრობლემაც დგას. საზოგადოება ცდილობს გაემიჯნოს სოციალური ზრუნვის ჯგუფებს, რაც თავის მხრივ მათი პრობლემების და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთგვარ ფილტრს წარმოადგენს. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში მხოლოდ მატერიალური პირობების გაუმჯობესება საკმარისია იმისთვის, რომ ბენეფიციარებმა უკეთ იგრძნონ თავი. საზოგადოება აქცენტს არ აკეთებს მათთვის მიწოდებული სპეციალური სერვისის ხარისხის აუცილებლობაზე.

როგორც კვლევამ აჩვენა საზოგადოების უმეტესობა ინფორმაციას სოციალური პრობლემების, სოციალური ზრუნვის ჯგუფების და მათი საჭიროებების შესახებ მედია საშუალებებით იღებს. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანის ძირითად არხებად გამოყენებული იქნას ის მედია საშუალებები, რომლებსაც უყურებს და ენდობა მოსახლეობა. როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტები ძირითადად ინფორმაციას ტელევიზიის საშუალებით იღებენ. დაახლოებით ერთნაირი ოდენობა იღებს ინფორმაციას ნაცნობ-მეგობრებისგან და გაზეთების საშუალებით **დიაგრამა №35**

დიაგრამა 35

¹³ გვ. № 36

¹⁴ გვ. 37 დიაგრამა 29



■ ტელევიზია ■ გაზეთი ■ რადიო ■ ინტერნეტი ■ ნაცნობ-მეგობრები

მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ინტერნეტ საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის (17.45%), ამიტომ ზრუნვაზე ორიენტირებულმა ორგანიზაციებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ აღნიშნული საინფორმაციო არხი, გაავრცელონ ინფორმაცია საკუთარი ორგანიზაციის შესახებ, მიიღონ მონაწილეობა ინტერნეტ ფორუმებში და ა.შ.

ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების კვლევამ გვაჩვენა, რომ მათი თანამშრომლობა მედიასთან არცთუ ისე ძლიერია¹⁵, შედეგებიდან გამომდინარე ზრუნვაზე ორიენტირებულმა ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ მედიასთან, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ არხებთან და გაზეთებთან. რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას ერთის მხრივ, დაინახოს სოციალური სერვისის მიმწოდებელი, რომელმაც შესაძლებელია ჩაანაცვლოს ამ სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტები, ხოლო მეორეს მხრივ, ის კონკრეტული საჭიროებები, რომლებიც განსაკუთრებული სოციალური ზრუნვის ჯგუფებს აქვთ.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია განხორციელდეს ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი განათლების პროგრამა, რომელიც

¹⁵ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია, თუ რა ურთიერთობა აქვს ორგანიზაციას მედიასთან. ორგანიზაციათა 18% მიუთითებს, რომ მას პრაქტიკულად არა აქვს ურთიერთობა მედიის საშუალებებთან. ორგანიზაციათა 48%-მა აღნიშნა, რომ მედია პერიოდულად აშუქებს მათ მიერ მოწოდებულ ღონისძიებებს და ასეთი სახის ურთიერთობა სპონტანურია. ორგანიზაციათა 16%-ს აქვს მდგრადი თანამშრომლობითი ურთიერთობები მედიასთან, მხოლოდ ორგანიზაციათა ძალზე მცირე ნაწილს (4%) გაჩნია მედიასთან ურთიერთობის სტრატეგია.

ხელს შეუწყობს სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას.

პროგრამა თავად ზრუნვაზე ორიენტირებულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ. მათ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით ინფორმაცია უნდა მიაწოდონ საზოგადოებას საკუთარი ბენეფიციარების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების მთავარი მიზანი უნდა იყოს საზოგადოებისთვის ბენეფიციართა მიმდებარის ხარისხის გაზრდა.